ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3882281

ნომერი: AR1585091

თარიღი : 15.03.2018

გაცემის თარიღი : 24.03.2018

გაცნობის თარიღი : 25.03.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ მიქელაძე პ/ნ 01026011880
- თბილისი ვ.დოლიძის ქ. კორ. 12 ბ. 21

ნომენკლატურა :

- კაფე, ბარი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: სასონ ჰოკი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 0-1201957-6

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1236.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 193.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1530.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 970.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 560.0

- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 7.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 5.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.8

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, ვინაიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაიცა მითითება 20.02.2018 წ. № 003349, ასეთ შემთხვევაში, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ.

მხოლოდ ზემოაღნიშნული საკითხის დაზუსტების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ იქნება შესაძლებელი განაცხადის განმეორებით განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, რომლის დროსაც ასევე წარმოსადგენი იქნება:

1. "დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი" - ვინაიდან არ არის წარმოდგენილი სადემონტაჟო შენობების ანაზომები და შესაბამისად განმარტებითი ბარათი, როგორც წარმოდგენილი იყო AR1296447 განაცხადზე, შესაბამისად ვერ ხერხდება ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გადამოწმება. ატვირთეთ სრულყოფილი დოკუმენტაცია.
2. ვინაიდან საჯარო რეესტრიის ამონაწერში იპოთეკარად დაფიქსირებულია შპს "ჯორჯიან ფაინანშიალ სოლუშენს"-ი, საჭიროა წარმოადგინოთ იპოთეკის შპს "ჯორჯიან ფაინანშიალ სოლუშენს"-ის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის თანხმობა დემონტაჟთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.